ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 21-86

"12" აგვისტო 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ", „კ" ქვეპუნქტების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხა, თანდართული რედაქციით.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილია, ხელშეკრულებით ნაკისრი საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენ/მმართველ/მოსარგებლე პირებს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მიმართონ ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს:

ა) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო;

ბ) ფრაისვოთერჰაუსკუპერი (pricewaterhouseCoopers);

გ) დელოიტი (Deloitte);

დ) ქეი-ფი-ემ-ჯი (KPMG);

ე) ერნსტ ენდ იანგ (Ernst & young);

ვ) გრანთ თორნთონ (Grant Thornton);

ზ) ბიდიო (BDO);

თ) ბეიკერ ტილი (Baker Tilly);

ი) სმით ენდ ვილიამსონ (Smith &Williamson);

კ) პი-ქეი-ეფ (PKF);

ლ) შპს „კაპტო ჯგუფი“ (RSM-ის წევრი);

მ) შპს „აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური ემჯიაი ჯორჯია“ (MGI);

ნ) შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ (FMG);

ო) შპს „ცოდნისა“.

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნის გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ნუსხაში შემავალი პირების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებით გაცემული საექსპერტო და აუდიტორული დასკვნა შესაძლოა მოეთხოვოთ მუნიციპალიტეტის ქონების შემძენ/მმართველ/მოსარგებლე პირებს.

პროექტის ძალაში შესვლის შემდეგ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენ/მმართველ/მოსარგებლე პირებს მოსთხოვოს ექსპერტიზის ან/და აუდიტის ჩატარების მიზნით მიმართონ დადგენილებით დამტკიცებულ საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირებს.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას თბილისის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.